უხერხემლო

პიესის ავტორი:

ალექს ჩიღვინაძე

555 50 66 36
aleqsa@gmail.com

<u>მოქმედი პირები:</u>

მართა, 55 წლის. ელას დედა.

მამია, 60 წლის. ელას მამა.

ნინო, 30 წლის წლის. ელას მეგობარი.

დანიელი, 22 წლის. ელას მეგობარი.

1.

(შუშაბანდში მთელი კედლის გაყოლებაზე გამხმარი ყვითელი ყვავილის, წითელი წიწაკის, ვაშლის, მსხლის და კარალიოკის ჩირის ასხმები კიდია. მათ შორის კალენდრიდან ამოჭრილი ღვთისმშობლის ხატი და „ტერმინატორის“ პოსტერია აკრული. ორი ფანჯარა და კარი დიდ, ნათელ ოთახში, ხოლო მარჯვენა კარი ეზოდან ამომავალ კიბეზე გადის. ერთანეთის გვერდით მომცრო ზომის მაგიდა, სკამები, სკივრი, სარკე და სხვადასხვა ზომის, ტალახიანი ფეხსაცმელი აწყვია. სამფეხა სკამზე ზის შავ კაბაში გამოწყობილი მართა. თეთრი ზეწარი სახეზე აუფარებია. მონოტონურად ირწევა. შემოდის მამია. ჩერდება და მართას უყურებს)

მართა. რა გინდა?

მამია. ჭამე რამე. მეორე დღეა ლუკმა არ ჩაგიდია.

(მართა დგება. სარკესთან მიდის და ზეწარს აფარებს)

მართა. სად იყავი?

მამია. გაიგე რა ვთქვი?

მართა. სასმელს ეძებდი?

მამია. არაფერსაც არ ვეძებდი.

მართა. აღარ არის, გათავდა.

მამია. როგორ გათავდა?

მართა. ასეთ დროს მაინც ხომ შეიძლება რომ არ დალიო?!

მამია. ვინ სვამს მერე?

მართა. ცოტაა რამეა გასაკეთებელი?

(მართა მაგიდასთან მიდის. სკამს გამოსწევს და ჯდება. იღებს ფანქარს და თხელ, მწვანე რვეულს, გაყვითლებულ ყდაზე ჭიქის ანაბეჭდებით)

მართა. ჩამოვწეროთ მაინც.

მამია. რა ჩამოვწეროთ?

მართა. პროდუქტების სია, რაც დაგვჭირდება.

მამია. და მერე მე რა ვუყო ამ ჩამოწერილს?

მართა. მოიცა, აბა, არაფერი გავაკეთოთ? შენ არ შეგრცხვება?

მამია. ვისი უნდა შემრცხვეს?

მართა. არა, შენ თუ არ შეგრცხვება, მე საერთოდ არ შემრცხვება. მე აქ უნდა ვეგდო და ვიტირო, სხვა კი არაფერი მევალება.

მამია. ეჰ, მართა, მართა, ბევრ რამეზე წუხხარ და ზრუნავ, არ არის საჭირო, დამიჯერე.

მართა. შენ რომ დაგიჯერე, იმიტომ ვარ ახლა ასე.

მამია. როგორ ხარ?

მართა. აბა, როგორ თუ არაფერი? სულ ეგრე ამბობ და ბოლოს მაინც ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია.

მამია. რას მიკეთებ?

მართა. მგონი ვიღაც მოვიდა, გახედე და ჩაიცვი წესიერად.

მამია. ამას რას უწუნებ?

მართა. შავი პერანგი გაგიუთოვე.

(მამია დგება და კართან მიდის. კიბის საფეხურების ჭრიალი ისმის. მამია კარს აღებს და გზას უთმობს ნინოს და დანიელს)

ნინო. გამარჯობა, სწორად მოვედით?

მამია. კი, თუ ჩვენთან მოდიოდით.

ნინო. ელასთან...

მამია. ელა ვინ არის?

ნინო. პანაშვიდზე ჩამოვედით.

მამია. პანაშვიდი აქ კი არის, მაგრამ ჩემი შვილის, ელგუჯას პანაშვიდია. ელა ვინ არის არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

(მართა დგება და ოთახისკენ მიდის. კარს აღებს და ოთახში შედის. ღია კარში სანახევროდ მოჩანს კუბო)

ნინო. თქვენი შვილის მეგობრები ვართ.

მამია. მეგობრებიც ყავდა?

ნინო. რა თქმა უნდა.

(პაუზა)

ნინო. ბევრი არა, მაგრამ...

მამია. ხვალ ვასაფლავებთ.

დანიელი. ასე მალე?

მამია. დიახ.

(მამია არაფერს პასუხობს. შეტრიალდება და ოთახში შედის. ნინო და დანიელი მარტო რჩებიან)

დანიელი. სად წავიდნენ?

ნინო. წამო, შევიდეთ.

დანიელი. შედი შენ.

ნინო. და შენ?

დანიელი. მე არ შემიძლია.

ნინო. რატომ?

დანიელი. მინდა რომ ისეთი მახსოვდეს, როგორიც იყო.

ნინო. ახლაც ისეთია.

დანიელი. მკვდარია.

ნინო. ისედაც ცოცხალი დაგამახსოვრდება და ასედაც.

დანიელი. მორგშიც ვერ ვნახე. ამოსაცნობად უნდა შევსულიყავი და ვერ შევედი. კი არ მეშინია, იმდენი მკვდარი მყავს ნანახი. მიდი შენ, შედი.

ნინო. მარტო ხომ არ დაგტოვებ?

დანიელი. მარტო რა. ვინ შემჭამს?

ნინო. მამამისი.

(დანიელი ხმას დაუწევს)

დანიელი. საწყალი პატარა ელა, ამათ ხელში. ნახე, როგორ დაგვხვდნენ?

ნინო. რა დახვედრას ელოდი? შოკში არიან.

დანიელი. შოკში არა ის კიდევ. დარწმუნებული ვარ გულის სიღრმეში უხარიათ კიდეც.

ნინო. კარგი ახლა. ყველაფერს რო თავი დავანებოთ შვილი იყო.

დანიელი. და ფეხებზე რატო ეკიდათ თუ შვილი იყო?

ნინო. ალბათ არ ეკიდათ.

დანიელი. ეკიდათ.

ნინო. ისე კაციშვილი არაა.

დანიელი. ვინ მოვიდოდა?

ნინო. რა ვიცი, ნათესავები, მეზობლები.

დანიელი. ადრეა ჯერ.

ნინო. შუადღეა უკვე რაღა ადრეა.

დანიელი. შეიძლება შიგნით არიან.

ნინო. არა, არავინ არ არის.

დანიელი. შენ რა იცი?

ნინო. კარი რომ გააღო, შევიხედე და დავინახე. არავინ არ არის. კატაა ერთი.

დანიელი. კატა?

ნინო. ჰო. დიდი, შავი კატა დავინახე. და თუ ჩამოვიდა ნეტავ?

დანიელი. დას დაბადების დღე რომ მიულოცა ბოლოს, იმან გაუთიშა.

ნინო. ჰო, მაგრამ ახლა ასაფლავებენ.

დანიელი. მერე რა... ხომ გაათხოვეს და.

ნინო. კი, ვიცი.

დანიელი. ისეთი ნაწყენი იყო ელა. ტიროდა. ისე ენატრებოდა და ისედაც ერთადერთი ვისთანაც ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ოჯახში ეგ და იყო და ისიც... თურმე დედამთილს უმალავენ, რომ ასეთი ძმა ჰყავს.

ნინო. ჰყავდა.

დანიელი. რა?

ნინო. ძმა ჰყავდა.

დანიელი. ჰო, ჯერ წარსულშიც ვერ ვახსენებ. არ მჯერა. იცი, აი, ახლა რომ გამოვიდეს, როგორც იცოდა, მხრებში მოხრილი, მაგრამ თავაწეული, იმ თავისი უაზრო, ნაძვებიანი შარფით. ვა, ქურციკ, შენ ხარო? დედას გეფიცები თუ გამიკვირდეს. ვაფშე, არ გამიკვირდება.

(ოთახიდან გამოდის მართა. მაგიდასთან მიდის. ჯდება. რვეულს გადაშლის და იღებს პასტას. წერს.)

ნინო. არც კი ვიცი, რა შეიძლება გითხრათ.

(პაუზა)

ნინო. ვიზიარებ.

(მართა წერას წყვეტს, მაგრამ თვალები ისევ რვეულზე აქვს დახრილი)

ნინო. მე ნინო ვარ და ეს დანიელია.

(ნინო სკამს გამოსწევს და მაგიდას მიუჯდება. მართა ნინოს შეხედავს. მამიაც ბრუნდება)

დანიელი. რამეში ხომ არ გჭირდებათ დახმარება?

მამია. არა.

დანიელი. აქ ეწევით?

მამია. მოწიე.

დანიელი. ხომ არ გინდათ?

(დანიელი მამიას სიგარეტს უწვდის. ისიც ყოყმანის შემდეგ ერთ ღერ სიგარეტს იღებს)

ნინო. თქვენი შვილი ჩემს ფილმში თამაშობდა.

მართა. ჟურნალისტი ხართ?

ნინო. არა, ჟურნალისტი არ ვარ.

მართა. რაღაც შოუში რო მიეთრა. თოფი ესროლეს იმ ღამეს ჩვენს სახლს. გეკო. აი...

(მართა დგება და კედელზე გამხმარ ყვავილებს შორის ნატყვიარს უჩვენებს)

მართა. მაგიდასთან ვიჯექი. სიმინდს ვარჩევდი, რო დაიქუხა. მეგონა მეხი დაეცა სახლს. წვიმდა გარეთ. სულ ორიოდე მტკაველით ამცდა ტყვია.

ნინო. არა, მე ჟურნალისტი არ ვარ.

მართა. მერჩივნა მომხვედროდა, მაგრამ რაც გიწერია.

ნინო. რეჟისორი ვარ. ჯერ არსად მიჩვენებია ეს ფილმი. ფესტივალზეც კი არ გამიგზავნია.

მართა. რა?

ნინო. „დები“.

მართა. დები?

ნინო. ჰო, ფილმს ჰქვია ეგრე. „დები“. წამოღებული მაქვს და განახებთ.

მართა. არა.

დანიელი. მართლა, ძალიან მაგარი ფილმი გამოვიდა.

ნინო. დიდწილად ელეს დამსახურებაა.

დანიელი. რა მაგრად თამაშობს, არა?

ნინო. თან პირველად ითამაშა და ისე მოეწონა მსახიობობა.

მართა. ამ დროს არ შეიძლება.

ნინო. რა არ შეიძლება?

მართა. ფილმის ნახვა.

ნინო. არა, ამ წამს კი არ ვგულისხმობ.

მართა. როცა მკვდარია სახლში, 40 დღე არ შეიძლება ტელევიზორის ჩართვა. არ იცით?

ნინო. გამიგია. ამიტომ დაგიტოვებთ. სპეციალურად ჩავწერე ფლეშკაზე. კომპიუტერი გაქვთ?

მართა. სად არის კომპიუტერი და კარგი ცხოვრება. მეზობელს აქვს.

ნინო. ჰოდა, მაინც დაგიტოვებთ და უყურებთ მეზობელთან.

მართა. არ დატოვო. გითხარი უკვე.

ნინო. რა ვიცი, ვიფიქრე, რომ... მაგრამ როგორც იტყვით.

მამია. და ელგუჯა ვის თამაშობდა? ერთ-ერთ დას?

ნინო. იცით რა ნიჭიერი იყო? თან ისე მოეწონა თამაში, მსახიობობა.

დანიელი. ნამდვილი ვარსკვლავი იყო. ის კაბა წამოვიღეთ, რაც აცვია ფილმში.

მამია. კაბა?

დანიელი. ჰო, უნდოდა, რომ ეს კაბა ჩაეცვა, ჯერ ქორწილში და მერე როცა მოკვდებოდა მაშინ.

მამია. რომელ ქორწილში? ცოლი მოყავდა?

დანიელი. უნდოდა რომ...

მამია. მაგრამ რა ცოლი, კაბას თუ იცვამდა, ე.ი. თხოვდებოდა. ვაი, მაგის პატრონს.

დანიელი. იქნებ ჩავაცვათ.

(დანიელი ჩანთას ხსნის და კაბას იღებს)

მამია. რა ჩავაცვათ?

დანიელი. კაბა.

მამია. გადაგახევ ახლა თავზე მაგ კაბას.

დანიელი. რა?

მამია. არ დამანახო.

დანიელი. როგორ მელაპარაკებით?

ნინო. მისი საყვარელი კაბა იყო, მეც მითხრა ერთხელ რომ...

მამია. ის კაცი იყო, კაცი! კაცი! რა კაბა? და ვინ ელა? ელგუჯა ერქვა. ბაბუამისის სახელი. ცხონებული მამაჩემის. ისეთი ძლიერი კაცი ყოფილა ცხენს წევდა თურმე. ერთ დალევაზე ხუთ ლიტრ ღვინოს სვამდა. მეგონა დაემსგავსებოდა და იმიტომ დავარქვი.

დანიელი. ელა არ სვამდა.

მამია. სათევზაოდ დამყავდა. სანადიროდაც მყავდა ერთხელ. ნაკვალევს მივყვებოდით მთელი დღე. დათვის ნაკვალევი იყო შემიძლია დავიფიცო. ვერაფერი მოვკალით, მაგრამ ისე ძალიან მოეწონა ტყეში. ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ბიჭი იყო.

მართა. დაბნეული იყო თავიდანვე.

მამია. მთხოვა დათვს ბელები თუ ჰყავს არ მოვკლათო და ავუხსენი, რომ დათვი თუ შეგვხვდებოდა, ვერ დავიწყებდით მარჩიელობას უშვილო იყო თუ შვილიანი. ჰოდა, გაიგო. მერე რა გადაუტრიალდა თავში, არ ვიცი.

ნინო. ეგრე არ ხდება.

მამია. აბა? როგორ ხდება? დაიბადა ბიჭი.

მართა. სამი და ხუთასი იყო, წონაში.

ნინო. ბიჭად დაიბადა, მაგრამ ელა...

მამია. ან ელგუჯას დაუძახებთ და ან… ან წადი აქედან. ისედაც აქ არავის დაუპატიჟებიხარ.

ნინო. ახლა რას დავუძახებთ რა მნიშვნელობა აქვს?

მამია. ჩემთვის აქვს.

დანიელი. ეგრე ელასთვისაც აქვს. აქედან იმიტომ წავიდა, რომ ჰქონდა ე.ი.

მნიშვნელობა.

მამია. ჰოდა, წავიდა და მოკვდა ჩემთვის. დიდი ხნის წინ გამოვიტირეთ. ახლა დავმარხავთ უბრალოდ და მორჩება. დამთავრდება ყველაფერი.

ნინო. თვითონ უნდოდა, რომ როგორც ქალი ისე დაგვესაფლავებინა და ახლა მისი სიკვდილის შემდეგ მაინც ეცით პატივი მის გადაწყვეტილებას.

(მამია ჯიბიდან იღებს ფოტოს)

მამია. აი, შეხედე. მოკლე თმა აქვს. ნაკვთებს შეხედე. ნახეთ, რა ნაკვთები აქვს. კუნთები? შეშას ვაჩეხინებდი. წყალს ეზიდებოდა. ეზოში არ გვაქვს წყალი, აი, იქაა, ნახე, რა სიშორეა. პატარა იყო უზარმაზარ დოქს რომ აიკიდებდა და მოარბენინებდა წყალს. როგორ მეგონა ძლიერი ბიჭი გაიზრდებოდა. გვერდში ამომიდგებოდა, ცოლს მოიყვანდა, მის შვილებს მოვესწრებოდი, მაგრამ… კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ნინო. ძლიერი ადამიანი იყო.

მამია. ძლიერი? ეგეთი ძლიერები ითრგუნებიან ყველაზე მალე. არ გინახავს რკინა მცირე ნამტვრევებად რომ დამსხვრეულა? არ გვაქვს ჩვენ გაჭირვებულ ხალხს მაგისი თავი. მითუმეტეს ჩემს შვილს არ ჰქონდა, ქვეშაფსია და უხერხემლო იყო.

დანიელი. ნუ ლაპარაკობთ ეგრე.

მამია. შენ ნუ მასწავლი, როგორ ვილაპარაკო.

დანიელი. არ მსიამოვნებს.

მამია. არ სიამოვნებს ბიჭს. ჩამოვიდნენ და დამიწყეს აქ ჭკუის სწავლება.

(მამია კარს აღებს და გადის და კარს ხმაურით ხურავს)

მართა. კარს ნუ იჯახუნებ. ისედაც ჩალეწილია ფანჯრები.

(პაუზა)

მართა. და ეს ნასესხები რომ არ გათავდა. რა ხანია კვირტები გასკდნენ. ჭკუა არ ჰქონდა ჩემს შვილს, არა! გაზაფხულზე სიკვდილი გამიგია? როცა გარშემო ყველაფერი ყვავის? არ მესმის, რა!

(დანიელი კაბას მაგიდაზე დებს)

2.

(მართა კაბას ხელს კიდებს, თითქოს ქსოვილს სინჯავს. შემდეგ მოშორებით დებს)

ნინო. უბრალოდ გვინდა მის არჩევანს...

მართა. რომელ არჩევანს, შვილო? ვეღარანაირ არჩევანს ვერ გააკეთებს მკვდარი მიწევს.

დანიელი. სიცოცხლეში რაც გააკეთა იმას, ახლა მაინც ვცეთ პატივი.

მართა. არ აკლდა პატივისცემა. არც ზრუნვა აკლდა. იცი რამდენჯერ მიფიქრია მის დაბრუნებაზე? საათობით ვიდექი ფანჯარასთან. ვუყურებდი გზას და ვფიქრობდი, რა იქნება ახლა გამოჩნდეს, გავალ გარეთ, გადავირბენ ეზოს, გავუღებ ჭიშკარს და ჩავიხუტებ-მეთქი. ხუთი წელი არ მყავდა ნანახი. ამდენი ხანი არ უნდა ნახო დედა? არ ვენატრებოდით მაინც?

ნინო. მაგაზე ალბათ მაშინ უნდა გეფიქრათ, როცა სახლიდან აგდებდით.

მართა. მე? მე გავაგდე სახლიდან? ვინ გითხრა? თვითონ?

ნინო. არ გაგიგდიათ?

მართა. სკოლიდან გამომიშვეს მაგის გულისთვის. მაგას რო კაბების ჩაცმა

უყვარდა, მაგიტომ. ბიჭებს რო უნაბავდა თვალებს. მთელი სოფლის დასაცინი გაგვხადა. შენ რა ბავშვები უნდა გაზარდო, შვილი ვერ გაგიზრდიაო და გამომიშვეს. მთელი გზა ვტიროდი. კი, მაგრამ მეორე შვილიც ხომ მყავს. აბა, ნახონ, ჩემი მეორე გოგო, არა, ნახონ ერთი როგორი მეოჯახეა, როგორი დაწკრიალებული აქვს სახლ-კარი, როგორ უვლის ქმარს და შვილს... რა ჩემი ბრალი იყო? სახლში რომ დავბრუნდი, დამხვდა კაბაში გამოწყობილი. გაიხადე, ახლავე გაიხადე-მეთქი და არაო, არ გავიხდიო. დავიღალეო. მე არ დავიღალე-მეთქი?

ნინო. და ცემეთ!

მართა. არ მიცემია.

ნინო. ცხვირი გაუტეხეთ.

მართა. არა!

ნინო. იმიტომ რომ ვიღაც უსამართლოდ მოგექცათ, შური შვილზე იძიეთ.

მართა. რა გინდა, შვილო?

ნინო. გვინდა, რომ აი, ეს კაბა ჩააცვათ და დამარხოთ როგორც ქალი.

დანიელი. ვინც უნდოდა რომ ყოფილიყო და ვინც იყო კიდეც სინამდვილეში.

მართა. ნუ მასწავლით თქვენ ჩემს შვილს როგორი იყო.

ნინო. და რა იცით რომ თქვენს შვილზე?

მართა. მე რა ვიცი ჩემს შვილზე?

ნინო. ჰო, არ იცნობდით.

მართა. ჩემს გაჩენილ შვილზე მეკითხები მაგას? ძუძუს ვაწოვებდი. და მეკითხები რა ვიცი ჩემს შვილზე? ჩემს პირველ შვილზე? ყოველ მეორე

კვირას გაციებული იყო. ღამეებს ვათენებდი. უღელტეხილზე რო გადმოვდიოდით, დარწმუნებული ვიყავი მომიკვდებოდა. გალურჯდა. შემოვახვიე რაც კი მქონდა. მე რაც მეცვა იმასაც გავიხდიდი, ოღონდ გამეთბო. ხელით მომყავდა, მე თვითონ ძლივს მოვდიოდი, არადა. ღამით მეგონა, გამეყინა, მაგრამ როგორღაც მოვასულიერე, ტანს ვუზელდი, ვკოცნიდი გალიგვებულ თითებზე, სახეზე, ტუჩებზე. მერე ვიღაც ქალი აყვირდა. მომპარესო, მომპარესო, მომპარესო, ჩემოდანი მომპარესო. მეთქი, ნეტაი, შენი პრობლემები მომცა ახლა. იცი რა ედო იმ ჩემოდანში? იცი რა ედო?

ნინო. რა?

მართა. ტყუპები. შვილები. ტყუპები ჰყოლია და გაიყინენ თურმე. ჩადო ჩემოდანში და ატარა იმხელა გზა. მერე ვიღაცამ რომ დაინახა, გვერდიდან არ იშორებდა იმხელა ჩემოდანს, უფრთხილდებოდა, იფიქრა ამას ოქროები ეწყობაო და მოპარა.

(პაუზა)

მართა. ნეტაი მართლა ოქროები ჰქონოდა, არა? და თქვენ მეუბნებით მე რომ არ ვიცნობ ჩემს შვილს? რა უფლებით?

ნინო. მაშინ როცა ყველაზე მეტად ჭირდებოდით, სახლიდან გააგდეთ.

მართა. იმეორე ახლა. გააგდე, გააგდე. ჯერ ეს ერთი მე კი არა, მამამისმა გააგდო.

ნინო. შეგეძლოთ წინააღმდეგობა გაგეწიათ.

მართა. ვისთვის გამეწია? მარტო მამამისმა კი არა, სოფელმა გააგდო. ფული შეუგროვეს და უთხრეს, წადიო.

ნინო. თხუთმეტი წლის ბავშვს.

მართა. აღარ იყო ბავშვი. ისეთი ცხოვრება გვაქვს გამოვლილი, რომ აღარ

იყო. გაიზარდა მალე. ვისთვის გამეწია წინააღმდეგობა? რამდენისთვის? როგორ?

დანიელი. როგორ ცხოვრობთ ესეთ სოფელში?

მართა. როგორში? ჩემი ნებაა?

დანიელი. იმის მერე როგორც მოექცნენ თქვენს შვილს, ან თვითონ როგორ გიყურებენ თვალებში?

მართა. სად წავიდეთ? ერთი სახლიდან გამოგვაგდეს. რომ არ დაგვეკარგა სოხუმი, იქნებ ეს არც მომხდარიყო.

დანიელი. სოხუმი არ ვიცი, მარა ხომ შეგეძლოთ, რომ გეცადათ მაინც მისი გაგება.

მართა. გგონია არ ვცადე?

დანიელი. რა ვიცი.

მართა. არა, გგონია არ ვეცადე? ვეკითხებოდი, მითხარი, დედა, დამელაპარაკე, რა გჭირს, რა გემართება-მეთქი. მაგრამ არ ჰქონდა შედეგი. და ბოლოს, კაი, ვაღიარებ, მეც მინდოდა, რომ წასულიყო. იმიტომ კი არა რო არ მიყვარდა. არა, მეცოდებოდა. ხანდახან სახლიდან რო გადიოდა, უკან მივყვებოდი, ჩუმად, რომ არ ეცემათ სოფლის ბიჭებს. სადაც დაინახავდნენ, აგინებდნენ, აფურთხებდნენ, ძირს დააგდებდნენ და წიხლებით ცემდნენ. ჩემმა ქმარმა ვერ მოითმინა. კაცია და ვერ მოითმინა, როგორი მოსათმენი იყო ეგეთი შვილი სახლში.

ნინო. ან ეგეთ ქმართან როგორ ცხოვრობთ?

(პაუზა)

მართა. იცით როგორ მეზიზღება?

ნინო. ვინ?

მართა. ვინ და ჩემი ქმარი. ატანა არ მაქვს. მაგრამ რა ვქნა? ახლა იმ ასაკში ვართ, რომ რაც არ უნდა საზიზღარი იყოს, მხოლოდ ის გვინდა ერთად დავსხდეთ და ერთმანეთს ვუყუროთ. გესმის?

ნინო. არა, არ მესმის. მაგრამ თქვენ ალბათ მართლა არ შეგიძლიათ სხვანაირად.

მართა. არ შემიძლია, არა.

(პაუზა)

ნინო. უკაცრავად, უხეშად გამოგვივიდა. არ უნდა გვეთქვა, ის რაც გითხარით. იმისთვის დავიბადეთ, რომ გვიყვარდეს და არა იმისთვის რომ გვძულდეს.

მართა. კატა გვყავს. ბებერია უკვე. ელგუჯა სანამ აქ იყო, მაგასთან ეძინა საწოლში. არ შორდებოდა. რაც მოიყვანეს, არ მოშორებია. სუნავდა. სუნავდა. მერე მიუწვა გვერდით და არ დგება.

3.

(კარი იღება და შემოდის მამია. მიდის მაგიდასთან, იღებს დანას და ვაშლს. თლის, მაგრამ ხელიდან უვარდება)

მამია. ჯანდაბა, რა მჭირს! რა უბედურებაა ეს!

(ვაშლს ფეხს ურტყამს. დანას ისე იქნევს, თითქოს მუცლის გამოფატვრას აპირებს. ვაშლი დანიელის ფეხთან მიგორდება)

მართა. წითელი ვაშლი გაგორდა, ელგუჯა სკოლაში გარბოდა, ხელში წიგნები ეჭირა...

მამია. რეებს ბოდავ, ქალო?

მართა. ვაშლის გარეცხვა გეზარება და დანის ტრიალი არა. არ დაირტყა ეგ დანა. არ მოგხვდეს.

(მამია დანას მაგიდაზე მიაგდებს)

მართა. რა დაგემართა? იყავი მღვდელთან?

მამია. ვიყავი.

მართა. მერე?

მამია. რა მერე?

მართა. როდის მოვა?

მამია. არ მოვა.

მართა. რატომ?

მამია. თავი მოიკლაო.

დანიელი. არ მოუკლავს თავი.

მამია. ზუსტად არ იცი და რო მოეკლაო? თავი ვინც მოიკლა, იმათთვის წესის აგების უფლება არ მაქვსო.

დანიელი. მოკლეს.

მართა. იქნებ სხვა მღვდელი ვნახოთ?

მამია. არავინ არ მოვაო.

მართა. არ უნდა წამოსულიყავი.

მამია. ვეხვეწე, ვემუდარე, რა მექნა მეტი.

მართა. იქნებ ფული უნდოდა?

მამია. ვუთხარი ხომ იცი პატივისცემის გარეშე არ დაგტოვებთთქო, მაგრამ არაო.

მართა. მე რომ მივიდე, დედა ვარ მაინც, შემიცოდებს.

მამია. ტყუილად მიხვალ!

მართა. იქნებ ჩამოვიყვანოთ საიდანმე?

მამია. საიდან?

მართა. რა ვქნათ ახლა?

მამია. რა უნდა ვქნათ? ვერაფერს ვიზამთ.

(მამია კუთხეში აყუდებულ ნიჩაბს იღებს და გარეთ გასვლას აპირებს)

მართა. ნიჩაბი რად გინდა?

მამია. საფლავი უნდა ამოვთხარო.

დანიელი. მოგეხმარებით.

მამია. არ მინდა.

მართა. მოგყვება ვინმე?

მამია. სად?

მართა. სასაფლაოზე.

მამია. არ მივდივარ სასაფლაოზე.

მართა. აბა, საფლავს სად თხრი?

მამია. უკან კაკლის ქვეშ.

მართა. სად უკან ბიჭო?

მამია. ეზოში.

მართა. რას ბოდიალობ, გაგიჟდი? რა უნდა საფლავს ეზოში?

მამია. სასაფლაოზე არაო.

მართა. სად სასაფლაოზე არაო?

მამია. ჩვენს სასაფლაოზე არ დაასაფლაოთო.

მართა. ვინ გითხრა?

მამია. მღვდელმა.

მართა. რატომ?

მამია. არ შეიძლებაო.

მართა. მაგას ვინ კითხავს?

მამია. ეკლესია იქო.

მართა. მერე რა რომ ეკლესიაა? ეკლესიაში დასაფლავებას კი არ ვთხოვ.

მამია. ხალხი მისულა მღვდელთან.

მართა. ვინ ხალხი მისულა... სასაფლაო იმისაა მკვდარი დაასაფლაო. ვინ ხალხი მისულა?

მამია. ჩვენი მშობლები, დები, ძმები და შვილები არიან დასაფლავებულებიო.

მართა. მერე ჩემი შვილია ესეც.

მამია. შეწუხდებიანო.

მართა. ვინ შეწუხდება?

მამია. მკვდრები.

მართა. მკვდრებს რა შეაწუხებთ?

მამია. რა და უწმინდურიაო.

მართა. ჯაბა ხომ დაასაფლავეს პატივით. რამდენი კაცი ჰყავდა მოკლული?

მამია. ამოთხრიან უკან და სახლში მოგიტანენო.

მართა. მერე რა უპასუხე?

მამია. რა მეთქვა?

მართა. მშიშარა კაცი იყავი ყოველთვის.

მამია. ქალო, რა გინდა ჩემგან?

მართა. არაფერი, რაც გინდა ის ქენი.

მამია. შორს ტარებაც არ მოგვიწევს.

დანიელი. ბუმბულივით არის. ბოლოს სულ გახდა. მარტო მე წავიღებ, რო მოვინდომო.

მამია. თან ახლოს გვეყოლება.

მართა. ვინ იყო მოსულიო?

მამია. სად ვინ იყო მოსულიო?

მართა. მღვდელთან. ვინ მიბრძანა არ დაასაფლავოთო?

მამია. არ დაუკონკრეტებია.

მართა. გატყუებს იქნებ. არ მჯერა, ვინ ეტყოდა მაგას.

მამია. უთქვამთ.

მართა. და მაგათ ჭკუაზე ვიაროთ?

ნინო. იქნებ იქ დავასაფლაოთ. ერთი ადგილი უყვარდა, მარტო ვრჩებოდიო, რასაც მინდოდა ვაკეთებდი და ვერავინ მხედავდა, ერთი მაღალი ხე დგას, ხელებააწეულ ადამიანს ჰგავსო.

მამია. სასაფლაოზეა ეგ ადგილი.

ნინო. მართლა?

მამია. აქვე ეზოში მინდა რომ დავასაფლავო. ვთქვი და მორჩა!

(მამია ნიჩაბს ხელს არ უშვებს)

მართა. ხვალ გათხარე.

მამია. წინ წავიგდებ საქმეს.

მართა. ხვალ დილით რბილი იქნება მიწა.

ნინო. მოიცა, მართლა მისცემთ ამის უფლებას, რომ შვილი არ დაგასაფლავებინონ?

მამია. არ გესმის, თავი მოკლაო თავი. სამარცხვინო შვილი მყავდა. მშიშარა, ისიც ვერ შეძლო რომ ეცხოვრა, როგორც უნდოდა ისე, ადგა და თავი მოიკლა.

დანიელი. არ მოუკლავს თავი, მაგრამ რომც მოეკლა მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

ნინო. მოკლეს ელე. იმიტომ რომ სხვას იცავდა. ვიღაცას სცემდნენ ქუჩაში და მივიდა დასახმარებლად. დაიმახსოვრეს და სახლში მიაკითხეს.

მამია. საკუთარი თავის დაცვა არ შეეძლო და სხვა დაიცავდა?

ნინო. გინდათ დამიჯერეთ და გინდათ არა, თქვენი ნებაა, მაგრამ არ გაინტერესებთ რა მოხდა? არ გაინტერესებთ რა მოუვიდა თქვენს შვილს? არ შეგიძლიათ აპატიოთ, მაშინ როცა თვითონ თქვენი პატიებაა ძალიან ძნელი. მთელი ცხოვრება ამცირებდნენ, ემუქრებოდნენ, თხუთმეტის იყო სახლიდან რო გააგდეთ.

მამია. უფრო ადრე უნდა გამეგდო. უნდა დამეტოვებინა უღელტეხილზე. ყველასათვის ასე აჯობებდა.

ნინო. ჰო, რო არა პატარა ელა, თქვენ ყველა უფრო მშვიდად იქნებოდით. არ გაინტერესებდათ სად ათევდა ღამეს? სად იძინებდა? რას ჭამდა? რამ გაგიქვავათ გული, რამ?

(ნინო გარეთ გადის)

დანიელი. საით?

ნინო. არ ვიცი. სასაფლაოზე.

(დანიელიც მიყვება)

მართა. მიდიხართ?

დანიელი. არსად არ მივდივართ.

მართა. დარჩებით?

დანიელი. კი.

მართა. ლოგინს გაგიშლით.

დანიელი. არ გვინდა თქვენი ლოგინი. თუ დაგვეძინება, მანქანაში დავიძინებთ. მომიცადე.

(დანიელიც გადის)

მამია. ცოდო კაცი ვარ, ცოდო.

მართა. ცოდო ხარ, კი.

(მამია დგება მაგიდასთან მიდის და მაგიდიდან ვაშლს იღებს)

მამია. შეჭამე რა, მართა, ერთი ნაჭერი მაინც შეჭამე.

მართა. არ გადამივა ყელში.

(მამია ვაშლს აქუცმაცებს)

4

(ღამე. შუშაბანდი მთვარის შუქით არის განათებული. ოთახის კარი ღია. ოთახში სანთლები ანთია. ერთმანეთის გვერდით სხედან ნინო და დანიელი)

ნინო. არაბი ცოლ-ქმარი იჯდა ჩემს წინ.

დანიელი. სად?

ნინო. მატარებელში, რომ მოვდიოდი. კაცს ხელში ტაბლეტი ეჭირა და ვიდეოს უყურებდა. რაღაც თეთრკედლებიან ოთახში ათამდე ადამიანი იყო შეკრებილი. ჭერზეც თეთრი განათება იყო. ოთახის ცენტრში ვიღაც ტიპი დადიოდა და ქადაგებდა.

დანიელი. მატარებელში?

ნინო. არა, იმ ვიდეოში, რასაც ის კაცი უყურებდა.

დანიელი. ვინ ტიპი?

ნინო. თეთრ თავსაბურავში. შეიძლებოდა ყოფილიყო პროფესორი, შეიძლება ტერორისტი და ის სხვები მძევლები, არ ვიცი, სათვალთვალო კამერით გადაღებულ კადრებს ჰგავდა. რაღაცას ამტკიცებდა.

დანიელი. ფსიქიატრი ხომ არ იყო?

ნინო. შეიძლება, ფსიქიატრიც იყო. მართლა ვერ მივხვდი. მერე ამ კაცმა ვიდეო გამორთო და დიდხანს უყურა, დაელაიქებინა თუ არა. თითქოს ეს ჟესტი ბევრ რამეს გადაწყვეტდა, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. გეგონება ვინმე ნახავდა მის ლაიქს და ეს რაღაცას შეცვლიდა მის ცხოვრებაში. დასჯიდნენ ან დაასაჩუქრებდნენ. დიდხანს უტრიალა და მერე ახალი ვიდეო ჩართო, სადაც მსოფლიოს ყველაზე მაღალი და დაბალი ადამიანები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დანიელი. მგონი ორივე ჩინელია ხომ?

ნინო. აზრზე არ ვარ. ორივეს შავი კოსტუმი ეცვა, ხელს ართმევდნენ ერთმანეთს. ორივე ძალიან სევდიანი იყო და უხერხულად, ნაძალადევად იღიმოდნენ. ფოტოებს უღებდნენ ერთადაც და ცალ-ცალკეც. ჰოდა, რატომ მოვყევი ეს, ვფიქრობდი როგორი რთული გასარჩევია სიზმარი და სინამდვილე. ახლაც ვდგავართ აქ, შუაღამისას, სოფლის ცარიელ სახლში, ოთახში ელე წევს, მკვდარი.

დანიელი. ნეტავი მართლა სიზმარი იყოს.

ნინო. არ გეძინება?

დანიელი. არა.

ნინო. ერთი საათით დაიძინე. თორემ ხვალ გაგიჭირდება.

დანიელი. არ მინდა. ასე ღამენათევს კიდე უფრო სიზმრისეულად წარმომიდგება ყველაფერი და ეგ მომწონს. გავიჩხერდი ახლა.

ნინო. ყავა გინდა?

დანიელი. აქვთ?

ნინო. რა ვიცი. მადუღარა დევს და... ყავაც იდება სადმე.

(ნინო დგება და ყავას ეძებს)

ნინო. ვერ ვპოულობ. ჩირი ვჭამოთ.

დანიელი. არ მინდა, ვერ ვიტან ჩირს.

ნინო. რატომ? გემრიელია.

დანიელი. მუმიები მახსენდება.

ნინო. რაზე ჩირზე?

დანიელი. ჰო, უხრწნელი სხეულები.

ნინო. ვერ ხარ შენ.

დანიელი. ახლა მიხვდი, რომ ვერ ვარ?

ნინო. არა, ადრეც ვიცოდი. გასინჯე მაინც.

დანიელი. გაწიე იქით. ძინავთ ნეტავ?

ნინო. ალბათ არა.

დანიელი. ის კატა რა ტიპია, არა?

ნინო. ჰო, რომ არ შორდება.

დანიელი. არადა, ამბობენ, კატებს არ უყვართ პატრონებიო.

ნინო. ეგრე ბევრ რამეს ამბობენ.

დანიელი. ნახე შენ?

ნინო. კი, შავი ფუმფულა კატაა, საოცარი თვალები აქვს, გოგირდისფერი. როცა შევედი მოვეფერე და ისე ამომხედა, გავიჟდი. შეიძლება მე აღვიქვი ეგრე, მაგრამ ცრემლები ჰქონდა თვალებში.

დანიელი. ელა დედას ჰგავდა არა თურმე?

ნინო. არ ვიცი.

დანიელი. მე როცა მშობელთან მსგავსებაში გამოვიჭერ თავს, ძაან ვღიზიანდები, აი, რაღაცას ვამბობ და უცბად საკუთარ თავს ვიჭერ იმაში, რომ მამაჩემი ამბობს ზუსტად ეგრე, ნუ იგივეს კი არა, მაგრამ ხმა, ტონი, აი, რა მემართება ვერ წარმოიდგენ, ვჩუმდები ან მომენტალურად გადავდივარ სხვა ტალღაზე და ძალიან სასაცილო ვარ.

ნინო. გიფიქრია მაგაზე?

დანიელი. რაზე?

ნინო. აი, რატომ გემართება ეგრე?

დანიელი. აზრზე არ ვარ. ალბათ იმის ბრალია, რომ აი, თვრამეტ წლამდე ტვინს მიტყნავდნენ, მაკონტროლებდნენ, არსად მიშვებდნენ და ცოტა დაკომპლექსებული ვარ. აი, სადმე თუ გავდივარ მამაჩემთან ერთად, დღემდე მიტყდება, რო ვინმემ არ დამინახოს. თან აი, ესენი რო ბაზრობდნენ, რო მშიშარა კაცი ხარ, შენი ბრალია, ეგეთი ბაზარი ჩემს ოჯახშიც ძაან მიღებული პონტი იყო და ვხვდები ახლა, მამაჩემის მრცხვენია. არადა, იმასაც ვხვდები თან რო არ უნდა მრცვენოდეს. ძაან ნორმალური ტიპია რა. კეთილია. ჭიანჭველას არ დაადგამს ფეხს. პროსტა დანევროზებულია, სვამდა და სულ ჩხუბობდნენ ეგ და დედაჩემი. ისე ესენიც მაგარი მოტეხილები არიან, არა?

ნინო. ჰო, მოხუცები არიან. იმ დღეს სტივ ბუშემიზე ვკითხულობდი, სამოცი წლის გახდაო და მეთქი რანაირად გადის დრო. მამაჩემზე სამი წლით უფროსია-მეთქი და აღმოვაჩინე, რომ სამ წელიწადში მამაჩემი სამოცის გახდება. სამოცის? სამოცი წლის მკვდრები გამახსენდა იმდენი. და ისიც რომ მე უკვე ოცდაათის ვარ და იდეაში არ უნდა ვფიქრობდე ამაზე მაგრამ... ამდენი ადამიანის სიკვდილს რომ უყურებ, ძალაუნებურად გეფიქრება და მეთქი სტივ ბუშემი რა ჩემს ფეხებად მინდოდა რო ამაზე დავფიქრებულიყავი-მეთქი, მაგრამ თვალები აქვს რაღაცნაირი.

დანიელი. კბილები?

ნინო. კი, კბილებიც. ძალიან სწრაფად გადის რა დრო. თან რაც ასაკში შედიხარ უფრო და უფრო მძაფრად გრძნობ ამას. აი, მიხვდები შენც ცოტა ხანში.

დანიელი. ვხვდები უკვე. გუშინ ელე ცოცხალი იყო. ახლა წევს იქ. ცივი. სად არის ხუი ევო ზნაეტ. შევხვდებით? არ ვიცი. რა მოგვივა საერთოდ? აი, თუნდაც ხვალ რა მომივა როცა მარტო დავრჩები. ახლა ვლაპარაკობ და არ ვფიქრობ, მაგრამ...

ნინო. ჰოდა, არც იფიქრო.

დანიელი. აბა, რა ვქნა?

ნინო. შეეცადე რა...

დანიელი. იცი რა გეგმები გვქონდა? ახლა რომ ვიხსენებ რაზე ვოცნებობდით, როგორ შევაგროვებდით ფულს, როგორ წავიდოდით კუნძულზე, როგორ ვიბანავებდით შიშვლები და არ შეგვეშინდებოდა, რომ ვინმე დაგვინახავდა, არავისი შეგვრცხვებოდა. რაც უფრო დეტალებში გვქონდა წარმოდგენილი, სიტყვაზე, რა ფერის ფარდები გვინდოდა სახლში და ეგეთები, უფრო მიკვდება გული. რამდენი დრო დავკარგეთ უაზროდ.

ნინო. კარგი რა, რა დრო დაკარგე. 22 წლის ხარ. და რაც არ უნდა იყოს, ხანდახან ერთი საათიციც საკმარისია.

დანიელი. რისთვის?

ნინო. ერთმანეთთან გატარებული ერთი საათისთვის ღირს ცხოვრება. აი, ხანდახან ფილმს ნახავ და გგონია მთელი ცხოვრება ნახე. არა?

დანიელი. სრულმეტრაჟიანი კაკ მინიმუმ საათნახევარი გრძელდება.

ნინო. ორიც და სამიც.

დანიელი. ოთხიც.

ნინო. ჰო.

დანიელი. იცი ხანდახან მგონია რომ ფილმების მეტი არაფერი გაინტერესებს.

ნინო. რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მაგრამ რეჟისორი ვარ და რა გიკვირს.

დანიელი. ხანდახან ვფიქრობ რო ელესაც იყენებდი, რა.

ნინო. ვიყენებდი რას ნიშნავს?

დანიელი. აი, ფილმში გადაიღე.

ნინო. კი, გადავიღე. მერე?

დანიელი. არაფერს, დაიკიდე.

ნინო. რა დავიკიდო, რისი თქმა გინდა?

დანიელი. არაფრის.

ნინო. არა, სისულელეს რომ იძახი ვერ ხვდები?

დანიელი. შეიძლება.

ნინო. რა შეიძლება?

დანიელი. ისე ვთქვი.

ნინო. რას მეუბნები?

დანიელი. გულწრფელად გეუბნები, რასაც ვფიქრობ. არ გითხრა?

ნინო. წავალ, დავიძინებ.

დანიელი. შეგცივდება გარეთ.

ნინო. გააჯვი!

დანიელი. ნინო!

(ნინოს გასვლის პარალელურად ოთახიდან გამოდის მამია)

დანიელი. მეგონა გეძინათ.

(მამია სკივრს ახდის და იქიდან არყის ბოთლს ამოაძვრენს. იღებს ორ ჭიქას და მაგიდაზე დებს. ჭიქებში არაყს ასხამს)

მამია. მოდი, შენდობა ვთქვათ.

(დანიელი მაგიდასთან მიდის და ჭიქას ხელს კიდებს. მამია რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ შემდეგ უსიტყვოდ გამოცლის ჭიქას. დანიელიც სვამს. მამია ავსებს.)

მამია. დიდი ხანია იცნობ?

დანიელი. ვის ნინოს?

მამია. არა, ჩემს შვილს.

დანიელი. ორი წელია.

მამია. ორი?

დანიელი. ჰო, თვრამეტის იყო რო გავიგაცანი.

მამია. შენ?

დანიელი. მე ოცის. ოცდაორის ვარ ახლა.

მამია. რა პროფესიის ხარ?

დანიელი. მეზღვაური.

მამია. მეზღვაური?

დანიელი. ჰო, სკოლა რო დავამთავრე, ჯარში წამიყვანეს.

მამია. მეც ვიყავი ჯარში.

დანიელი. მართლა?

მამია. კი. ურალში. ყველას ვჯობნიდი აჯიმანიებში. ერთ გაკეთებაზე ვაკეთებდი ათასამდე. იმდენი სანაძლეო მაქვს მოგებული… ვიწყებდი და აღარ ვჩერდებოდი. აკეთებ შენ?

დანიელი. რა ვიცი, მაგდენს ვერა.

მამია. არა, მაგდენს რანაირად გააკეთებ. ახლაც კი ხომ დავბერდი, მარა მაინც შენზე მეტს გავაკეთებ. გინდა შეგიჯბრო?

დანიელი. არა.

მამია. მოდი, დაწექი.

დანიელი. არა, იყოს.

მამია. იცი რომ წააგებ და...

(მამია ჭიქას იღებს)

მამია. ხსოვნა იყოს!

დანიელი. იყოს.

მამია. ყველასი. წასულების!

(მამია სვამს არაყს)

მამია. ჯარში სად მსახურობდი შენ?

დანიელი. მუხროვანში.

მამია. ახლა?

დანიელი. ჯარს რო მოვრჩი, მეზღვაურთა აკადემიაში ჩავაბარე.

მამია. მეზღვაურობა, კარგია. მეც მინდოდა მეზღვაურობა, მაგრამ დედაჩემმა არ გამიშვა. ერთი შვილი მყავს და არ მინდა ისიც ზღვაში დამეხრჩოსო! სადა ეგ აკადემია ბათუმში, ხომ?

დანიელი. კი, ბათუმში გადავედი. ელესაც უნდოდა გადმოსვლა, მაგრამ...

მამია. ჩემს შვილს?

დანიელი. ჰო, მაგრამ ვეღარ მოასწრო.

მამია. რატომ მასაც მეზღვაურობა უნდოდა?

დანიელი. არა, მე რომ წავედი.

მამია. მერე რა რომ შენ წახვედი?

(პაუზა)

დანიელი. ერთად ვიყავით.

მამია. ერთად იყავით რას ნიშნავს?

დანიელი. ერთად რა. მიყვარდა.

(მამია დანიელს სილას გააწნავს)

დანიელი. ყოველთვის ისეთი მშიშარა ვიყავი, რომ მეტი არ შეიძლება. სულ მეშინოდა. ყველა სიტუაციაში, როცა ქუჩაში შემაყენებდნენ, როცა ვიღაც მემუქრებოდა, თუნდაც ხუმრობით, როცა მშობლები ჩხუბობდნენ, როცა შეიძლება ვინმე გაბრაზებულიყო ან კონფლიქტური სიტუაცია იყო. ჯარშიც სულ მცემდნენ და სულ უკან ვიხევდი. მეშინოდა რომ მომერეოდნენ, დამამცირებდნენ და ამიტომ უფრო მეტად ვამცირებინებდი თავს იმით, რომ არ ვუწევდი წინააღმდეგობას. არ ვიცი რისი მეშინოდა, ყველაფრის, იმის რო ვინმე დამინახავდა და ამიტომ კიდევ უფრო მოშიშვლებულ ადგილას ვდგებოდი. ელე რო გავიცანი ასეთი ვიყავი, აზრზე არ ვარ როგორ, მაგრამ ელემ მასწავლა როგორ გადამელახა ეს შიში. მაგრამ მარტო ამიტომ კი არ მიყვარდა...

მამია. არ მინდა ამის მოსმენა.

დანიელი. მარტო ამიტომ არა, კიდევ უამრავი მიზეზი მქონდა და შეიძლება უმიზეზოდაც მიყვარდა. იმიტომ რომ არავის შევხვედრივარ, მასზე მზრუნველს და...

მამია. გაეთრიე, შე, პიდარასტო! არ დაგინახო ჩემს სახლში!

(დანიელი უკან იხევს. ამჩნევს ნიჩაბს და იღებს. მამიას ჰგონია, რომ დანიელი ნიჩაბით თავდასხმას აპირებს და თავდასაცავად მოემზადება. დანიელი ტრიალდება. კარს აღებს და სიბნელეს შეერევა. მამია ჭიქას გამოცლის. ჭიქებს შეინახავს. ბოთლს შარვლის ჯიბეში იდებს და ისიც

გადის სახლიდან)

5.

(სასტუმრო ოთახში სანთლის შუქი ციმციმებს. ოთახიდან მართას ხმა ისმის)

მართა. ფისო, რა დაგემართა? ადექი, გაიარე, ახლა. არაფერი გიჭამია.

(მართა ოთახიდან გამოდის. ხელში შავი კატა უჭირავს. კატა არ ინძრევა)

მართა. მოკვდი კრუტუნა? რატომ გოგო? ერთად დაგასაფლავებთ ახლა. შენც გაგითხრით პატარა საფლავს. ელგუჯას გვერდით დაგასაფლავებთ. ხომ გიყვარდა მის გვერდით წოლა.

(მართა მიდის მაგიდასთან. იღებს კაბას და ოთახში უჩინარდება. კარს ღიას ტოვებს. სანთელი ციმციმებს. ოთახის კედელზე ჩრდილები თამაშობენ. მართა შვილის ცხედარს ტანსაცმელს უცვლის. ისმის მართას გახშირებული სუნთქვა)

მართა. მოდი, გავიხადოთ. რა მსუბუქი ხარ, ჩემო ბიჭო. რა გამწლეული. ეს მკლავებია თუ ფიჩხი? გახსოვს ტყეში ფიჩხს რომ ვაგროვებდით დედა? გახსოვს? სოკოზეც დავდიოდით. ჩემო ბიჭო. ერთხელ გამოვიხედე და წითელი, შხამიანი სოკო გედო პირში, როგორც გოჭს ვაშლი. თეთრკოპლებიანი, წითელი სოკო, ნაყინივით ლოკავდი, დედა. მოგვარდი, მაგრამ არ ვიცოდი, გადაყლაპე თუ არა რამე. სასწაული შხამიანია ეგ სოკო! გული აგარევინე. თითები ჩაგიყავი ყელში. იჭინთებოდი, მაგრამ გულს ვერ ირევდი. რას აირევდი, არაფერი გქონდა ნაჭამი. არ ჭამდი, არაფერს. რძეს შენ არ სვამდი და მაწონს.

და ჩვენი ძროხა გახსოვს, დედა? მადონა? გახსოვს ბებია რომ მოკვდა მაგის ხბო დავკალით ქელეხში. მადონა მთელი დღე ღობეს არ მოსცილებია. მთელი დღე ბღაოდა. ჩვენ კიდევ მის შვილს ვჭამდით. ერთმანეთს თეფშზე ვუღებდით კარგ ნაჭრებს. ვღრღნიდით მის ძვლებს. თურმე როგორ

განიცდიან ძროხებიც შვილის სიკვდილსთქო, ვამბობდით და ჭამა არავის შეგვიწყვეტია. მხოლოდ შენ არ ჭამდი. მადონა კი ბღაოდა და ბღაოდა. დაუკლეს შვილი, შეუჭამეს.

ეს რა გახატია, ბიჭო. რა არის? უჰ, სანთელი დაგაწვეთე. რა არის ეს? რა ნახატია? რა დაგიხატავს ბიჭო ეგ. ჭუპრიდან პეპელა გამოდის, დედა? მაგრამ რად გინდოდა, შვილო. არა, ლამაზი არის კი, მაგრამ თუ ეგრე მოგწონდა, ნახატი ჩაგედო ჯიბეში და დაგეხედა ხოლმე ზედ. სხვასაც ანახებდი. მოდი, შვილო, გაინთავისუფლე ხელი. ახლა მეორეც.

ერთხელ ქალაქში ჩამოვედი. შენ სანახავად ჩამოვედი. შენს მოსაძებნად. კითხვა, კითხვით, მოგაგენი. შენი მამიდაშვილისგან ვიცოდი, სადაც ცხოვრობდი. გარეთ ვიდექი და ველოდებოდი, როდის გამოხვიდოდი. ან შეხვიდოდი. ის არ ვიცოდი სახლში იყავი თუ არა. ვერც შემოვიდოდი. ვერ დაგენახებოდი ასე. არ ვიცი, შეიძლება მრცხვენოდა კიდეც. ვერ ვხვდებოდი მაშინ. უბრალოდ შენი დანახვა მინდოდა. მამაშენს ვუთხარი ექიმთან მივდივარ, საშვილოსნოზე მჭირს რაღაცათქო. უფასოა კვლევა და წავალ-მეთქი და წამოვედი პირდაპირ შენთან. არ ვიცი რა დრო გავიდა. შეიძლება ორი საათი. ბავშვები ბადმინტონს თამაშობდნენ და გავერთე ცოტა, ვუყურებდი. ქარი იყო და უშლიდათ ხელს. მიხვდნენ და შევიდნენ სახლში. იქვე მოხუცი ქალი იჯდა. მზესუმზირას ყიდიდა. მომშივდა და მეთქი მზესუმზირას მაინც ვიყიდი-მეთქი და წავედი იმ ქალისკენ. და ამ დროს გამოხვედი. ჩქარა დავბრუნდი უკან. რომ არ დაგენახე. ამოვეფარე კედელს და გიყურებდი. როგორ მიდიოდი იმ ქარში. ხელით იჭერდი კაბას და მერე შევამჩნიე იმ ქალის, სახე, სულმთლად დანაოჭებული, ზიზღით გიყურებდა, გავიგე, როგორ მოგაწყევლა. მგონი შეგაგინა კიდეც რაღაც. შენ კიდევ მიდიოდი, არც იმჩნევდი, მოკუტული, მაგრამ თავი ამაყად გქონდა აწეული. გიყურებდი, სანამ... ახლა გავისწოროთ.

იცი რა ვქენი მერე? რომ წახვედი, გავექანე იმ ქალისკენ. ფეხი ვუკარი იმ მზესუმზირის ტომარას და წავუქციე. აკივლიდა, მაგრამ რა აკივლდა. ჯერ იმუქრებოდა, მერე შველას ითხოვდა. ისეთი სახე მქონდა, შეეშინდა არ

მომეკლა. რა ჯანდაბა გინდოდა იმ გოგოსთან-მეთქი? რა გინდოდა? რა თქო? რა დაგიშავა ბავშვმა შე, კუდიანო-მეთქი. ვურტყავდი ხელს იმ თავში. თხელი თმა ჰქონდა. კანი უჩანდა თავზე. კოსა ჰქონდა გაკეთებული და წავავლე იმ კოსაში ხელი და სულ მუხლზე ვარტყმევინე თავი. ტუჩი გაუსკდა და სისხლი წამოუვიდა. მეზობლები მოცვივდნენ და გამოვიქეცი. ახლა ვხვდები, იმ ქალს კი არ ვცემდი, თავში ვიცემდი.

როგორ გიხდება, ბიჭო, ეს კაბა! არ დაგცინი. მართლა გიხდება, დედა!

(სანთლები ქრება. ოთახში სიბნელე ისადგურებს)

6.

(დილა. შემოდის მამია ყვავილებით. ოთახში შედის. ფანჯრებს აღებს. ფანჯრებს მიღმა ჩანს ხალიჩა. ხალიჩის ფონზე ზის მართა კუბოსთან)

მართა. საიდან მოიტანე ეს ყვავილები?

მამია. საიდან მოვიტანდი?

მართა. გაღმა ველში იყავი?

მამია. არ ეგონოთ, რომ არავინ იყო მოსული.

მართა. არავინ ყოფილა.

მამია. მერე რა ყვავილები აუცილებელია მაინც. რატომ გადააფარე?

მართა. იყოს, დაანებე თავი. ჰქონდეს.

(მამიას სუდარას გადახდის)

მამია. რა არის ეს?

მართა. რა?

მამია. რა აცვია ეს? კაბა?

მართა. არ დაიწყო ახლა.

მამია. ვინ ჩააცვა?

მართა. მე.

მამია. რატომ მერე?

მართა. გადავაფაროთ და მაინც ვერ დაინახავს ვერავინ.

მამია. ეჰ, მართა, მართა, შენი გათამამებული იყო.

მართა. ჰო, აბა რა, დამნაშავე, ყოველთვის ყველაფერში მე ვარ. შენი ბრალი არ არის არაფერი.

მამია. რა არის ჩემი ბრალი?

მართა. არა, არაფერი.

მამია. რომც იყო ახლა რაღას შევცვლი?

(პაუზა)

მართა. წავიყვანოთ სასაფლაოზე.

მამია. ვერ წავიყვანთ. მღვდელმა მითხრა.

მართა. ისედაც მთელი ცხოვრება ვიღაცის ჭკუაზე დავდივართ.

მამია. მშვიდად მინდა ვიყოთ.

მართა. შვილის გვამთან მომავალზე ლაპარაკის არ გრცხვენია? როგორ ვიყოთ მშვიდად? როგორ წარმოგიდგენია შენ? დალევ ისევ ყოველ დღე და რამდენჯერ დათვრები მეზობელ კაცებზე იეჭვიანებ. თითქოს 60 წლის

ქალს მართლა შემეძლოს რამე.

მამია. არ შეგიძლია იმიტომ რომ მე არ გიშვებ.

მართა. შენ არ მიშვებ, კი. იცი მარტო ჩვენს შვილს არ უნდოდა სახლიდან გაქცევა.

მამია. წასულიყავი მერე.

მართა. მეცოდებოდი, ვერ დაგტოვე მარტო. მაგიც არ გესმის შენ!

მამია. არ მინდა მე შეცოდება.

მართა. გინდა, როგორ არ გინდა. დალიე ხომ მაინც?

მამია. შვილის შესანდობარი არ დავლიო?

მართა. კი, უნდა დალიო. წადი, ახლა გამოიცვალე.

მამია. შენც კარგად გამოწყობილხარ ისე. ვის ეპრანჭები?

მართა. სიკვდილს ვეპრანჭები, მამია. ნეტავი მოვეწონო და წამიყვანოს, მომაშოროს აქაურობას.

მამია. შენ ჯერ მე მომინელებ!

მართა. შეიძლება, სიკვდილსაც აფრთხობ ხომ ხედავ. მიცავ! ერთი ჩვენი შვილი ვერ დავიცავით. ვერავისგან. მიყურე ახლა. წადი, ჩამოიბანე ეგ ტალახი და ჩაიცვი ის შავი პერანგი, რაც გაგიუთოვე. მე დავაწყობ ამ ყვავილებს!

(მამია ოთახიდან გადის. შუშაბანში შემოდიან ტალახში ამოსვრილი დანიელი და ნინო)

ნინო. სად ამოისვარე?

დანიელი. ვბოდავდი ღამე, მაპატიე.

ნინო. კარგი რა.

დანიელი. სასაფლაოზე ვიყავი.

(გამოდის მამია. შავი კაბა ჩაუცვამს. ხელში მაგნიტაფონი უჭირავს.)

დანიელი. საფლავი ამოვთხარე. იმ ხის ქვეშ. მართლა ხელებაწეულ ადამიანს ჰგავს ის ხე, შეშინებულს კი არა, ირაღს რომ მიუშვერენ და მაშინ აწევს ხელებს, არა, გახარებულს და მოზეიმე ადამიანს ჰგავს.

მამია. იცით ამის ჩართვა? მოდი, ჩართე, საგალობლებია.

(ნინო მიდის მაგიდასთან. ღილაკს აჭერს ხელს და ირთვება Queen - I Want To Break Free)

დანიელი. ელეს უყვარდა ეს სიმღერა.

მამია. იყოს მაშინ თუ უყვარდა. ორი საათისთვის წავასვენოთ სასაფლაოსკენ!

7.

(მამია და მართა ბრუნდებიან შინ. მართა ოთახში შედის და ლეპტოპი გამოაქვს)

მართა. ნინომ დამიტოვა. ორმოცზე რო ჩამოვალ, მერე წავიღებო. ჩართვაც მასწავლა.

(ლეპტოპს მაგიდაზე დებს. რთავს. შემდეგ ღილაკს აჭერს ხელს და ისმის მუსიკის ხმა. მამია მართას გვერდზე ჯდება. ფილმს უყურებენ. ორივე იღიმის. სარკეზე გადაფარებულ თეთრ ზეწარზე პროექციირდება გამხდარი, მაღალი, ქერათმიანი გოგო. დგას ქარში, მხრებში მოხრილი და თავაწეული)